

Review Paper

Specific Aspects of Teaching Geographical and Origin Names to Foreign Language Students of the Faculty of Medicine

Daphine Svanidze^{1}*¹University Geomedi, King Solomon II Str. 4, 0114 Tbilisi, Georgia

*E-mail: dafi.svanidze@geomedi.edu.ge

Article History

Received: Oct 17, 2025

Revised: Oct 29, 2025

Accepted: Nov 4, 2025

Abstract:

This paper explores the specific features and instructional process of teaching geographical and origin-related nouns to foreign students of the Faculty of Medicine at Geomedi University. The students are learning Georgian as a second language. These types of lexical units play an essential role both linguistically and in everyday communication, as they express the connection between people or objects and geographical spaces. For foreign learners, acquiring and understanding such nouns presents challenges due to the complexity of word formation processes, the diversity of affixes, and the nuances of meaning. The study analyzes the structural characteristics of geographical and origin-related nouns, identifies typical learner errors, and investigates their underlying causes. Special attention is given to effective teaching strategies, including the use of visual materials, dialogic texts, and intercultural activities. These approaches significantly contribute to the development of students' linguistic competence and the enhancement of their cultural awareness. The proposed methods facilitate a clearer understanding of how spatial relationships are expressed in Georgian and promote their functional use in communication.

Keywords: Georgian as a second language; geographical and origin-related nouns; affixes; teaching strategies.

Introduction

The Georgian language is taught to international students at the Faculty of

Medicine of University Geomedi. The course is divided into four parts. The first three parts focus on grammar and aim to develop basic

communicative competence in Georgian at the A1 level.

These sections include essential nouns, verbs, phrases, and grammatical structures necessary for the students' daily life. The fourth part is specifically dedicated to medical phrases, dialogues, and conversations commonly used in clinical settings.

This article discusses a specific topic taught to second-year medical students of Geomedi University, which, in our view, is essential from a practical standpoint.

In the modern world, one of the primary goals of teaching a second foreign language is to develop linguistic competence that enables students to communicate effectively in diverse cultural environments. In the Georgian language, ethnonymic names require the addition of various suffixes to convey different meanings, which sometimes creates difficulties for foreign language learners when studying these names. For learner groups, it is important not only to memorize such types of names but also to understand their correct grammatical forms and situational usage. Therefore, it is essential to present appropriate analytical materials and carefully selected exercises, and to work on them thoroughly.

The aim of this paper is to analyze the difficulties encountered by foreign language students during the learning process. The study focuses on how geographical and ethnonymic names should be taught correctly and effectively, examining their

grammatical structure, semantic content, teaching methods applied, challenges faced, and practical recommendations.

Methodology

To achieve the research objectives, a desk researcher method was applied, specifically the review and analysis of existing scholarly literature, which helped shape the theoretical framework of the study. Additionally, analytical and descriptive methods were used.

Discussion on the Topic

Geographical and origin-based nouns are formed through the addition of various affixes, and they differ by type and origin. A geographical noun refers to a specific geographical location and is formed using suffixes such as -et, -is, -a, -ia and prefix-suffix combinations like sa-o, sa-et (e.g., Fineti, Dmanisi, litva (Lithuania), italia (Italy), saphraneti (France)).

The suffix -et is the most widely used and is added to the root of nouns denoting countries, tribes, rivers, regions, etc., thus forming a geographical noun (e.g., Svaneti, Kakheti, Somkheti (Armenia), rumineti (Romania), dasavleti (West)).

According to V. Topuria, most geographical names are either of composite origin or formed through prefix-suffix combinations. He considers the suffixes -et and -ta as phonetically related and cites Niko Marr's view, who believed that the suffix -et

signified both plurality and location in toponyms (5. 286).

A. Shanidze also views the suffix -et as the primary marker of geographical names. He notes that some geographical names are based on words denoting plants, animals, birds, or minerals, and many originate from surnames—especially common in villages of Kakheti, Pshavi, and Khevsureti: Kaishaurni, Machkhaani, Vachnadziani, Gogolaurta (11. 136).

Geographical names ending in -is often derives from the genitive case, although the root has lost its genitive meaning. According to A. Shanidze, such names are remnants of Old Georgian usage, where the -is ending is no longer understood as a genitive but rather as a fossilized form. Hence, the -is suffix is not considered a productive affix but rather a case ending whose meaning has shifted (11. 114). Examples include: manglisi, kutaisi, inglisi (England), urbnisi, tbilisi, dmanisi.

B. Jorbenadze refers to these -is suffix nouns as “pseudo-genitive substantives” (e.g., Shindisi) and calls the -et suffix a “localizing formant” (e.g., Russia – Ruseti) (13. 51–52).

An origin-based noun, on the other hand, denotes a person's or object's geographical, ethnic, or cultural origin (Kartveli [Georgian], Kutaisuri [from Kutaisi], Megruli [Mingrelian]). The most productive suffixes to express origin are -el and -ur / -ul.

The suffix -el indicates a person's place of origin (11. 127). Shanidze mentions that historically, the suffix -el was used instead of

-et or -is, which points to its antiquity. For example, people from Shindisi or Ts'avkisi call themselves Shindelebi or Ts'avkelebi. Similarly, we have Dusheti – Dusheli, Tbeti – Tbeli. (11.127). Today, however, these suffixes are no longer dropped, and both forms are commonly used: Manglisi, Kutaiseli, Tbiliseli, Dusheteli, Tbeteli.

The suffixes -ur / -ul are used to denote the origin of non-human entities (11. 127): Imeruli [Imeretian], Kartluri [from Kartli], Dasavluri [Western], Espanuri [Spanish], Islandiuri [Icelandic]. These types of nouns always refer to inanimate objects: imeruli saxli (Imeretian house), qartuli dialeqti (Kartlian dialect), dasavluri kultura (Western culture), espanuri ph;amengo (Spanish flamenco), islandiuri ludi (Icelandic beer), etc. Foreign students are introduced to the main affixes from the beginning of their studies, through tables and charts containing relevant examples.

Examples of Geografical Nouns:

Sa – o saqartvelo (Georgia), samacgablo ..

-et – indoeti (India), bulfareti (Bulgaria), rumineti (Romania)...

-ia - italia (Italy), norvegia (norway), brazilia (Brasil), irlandia (Ireland), iaponia (Japan)...

Sa – et saphrangeti (France), saberdzneti (Greece)...

-is inglisi (England), tbilisi, bolnisi, dmanisi

**Origin-Based Nouns:**

With *-el* suffix (used only for people): ukraineli (Ukrainian), holandeli (Dutch), kakheli (Kakhetian), imereli (Imeretian), vietnameli (Vietnamese), pakistaneli (Pakistani), nepaleli (Nepali), etc. These nouns indicate a person's nationality or geographical origin: danieli profesori (Danish professor), germaneli iuristi (German lawyer), espaneli zhurnalisti (Spanish journalist), kubeli masts'avlebeli (Cuban teacher).

Some origin-based names in Georgian do not use the *-el* suffix. These exceptions require focused memorization and contextual understanding, supported by exercises. The comparative method is particularly effective when teaching these forms. Students are provided with short texts where they identify affixed and non-affixed forms and analyze them.

Practical experience has shown that this independent, analytical work—identifying noun types, suffixes, their meanings, and providing corresponding examples—is highly engaging for students, as it fosters independent thinking and conclusion-drawing.

with suffix <i>-el</i>	Without suffix
Danieli (Danish)	slovaki (Slovak)
espaneli (Spanish)	turqi (Turkish)
brazilieli (Brazilian)	phrangi (French)
kolumbieli (Colombian)	berdzeni (Greek)

with suffix <i>-el</i>	Without suffix
norvegieli (Norwegian)	მონღოლი (Mongolian)
Chineli (Chinese)	shvedi (Swedish)
iaponeli (Japanese)	khorvati (Croatian)
portugalieli (Portuguese)	tajiki (Tajik)
irlandieli (Irish)	serbi (Serbian)
islandieli (Icelandic)	belorusi (Belarusian)
eraqeli (Iraqi)	q'irgizi (Kyrgyz)
libaneli (Lebanese)	uzbeki (Uzbek)

The suffixes *-ur* / *-ul* are used to indicate the origin of non-human entities (11. 127).

- Inglisuri dzaghli / germanuli ludi (an English dog / a German beer)
- Induri cekva / qartuli satchmeli (an Indian dance / Georgian food)
- Aphrikuli lomi / italiuri ghvino (an African lion / Italian wine)

While the suffixes *-ur/-ul* may appear in various syntactic positions, it is generally advisable not to emphasize this variation at the early stages of instruction, as it may further complicate the learning process for foreign students.

Particularly important:

The distinction between the questions “Where are you from?” (saidan khar?) vs “What is your origin?” (sadauri khar?) requires special attention:



- The first question requires a place name, typically using the ablative suffix -idan/-dan:

saidan khar? (Where are you from?)
 — me var
 indoetidan/serbiidan/monakodan (I
 am from India / Serbia / Monaco)

- The second question requires nationality, formed with the -el suffix:
 sadauri khar? (What is your origin?)
 — me var indoeli/serbi/monakoeli (I
 am Indian / Serbian / Monacan).

Common Difficulties (Typical Errors):

1. Incorrect use of case endings:

Students often omit the -idan/-dan suffix and instead use the nominative or locative case's (-shi) forms: me var indoeti (I am India) or me var indoetshi (I am in India) instead of the correct: me var indoetidan (I am from India).

2. Misplacement of suffixes -eli and -uri/-uli:

Errors include using human-related suffixes for non-human nouns or vice versa, e.g.: Amerikuli kata (an American cat) or kanaduri gogo (a Canadian girl) ungrelu propheori (a Hungarian professor) or rumineli koleji (a Romanian college).

In English, such distinctions are not morphologically expressed (e.g., Hungarian can refer to both a person and an object), which leads to interference.

3. Incorrect affix combination: Students sometimes combine the root of a place with the wrong suffix:

Indoeteli, Ungreteli, Kakheteli
 (instead of indoeli, ungrelu, kakheli)

4. Mixing up the questions leads to incorrect answers:

Where are you from? – I am Indian
 gin? – I am from India

5. Difficulty in memorizing and pronouncing suffixes, especially -el, -ur, -idan, etc. However, with frequent repetition and exposure to structured patterns and examples, these challenges can be overcome.

Sample Exercises (From a Large Set):

1. Chemi megobari → amerikeli / amerikulia
 My friend is American.
2. Shirafi aris..... → induri / indoeli
 Giraffe is Indian.
3. khachapuri dzalian gemrieli.
 → qarttvelia / qartuli



Georgian Khachapuri is very delicious.

4. Giorgi akhla (saberdznetshi / berdznetshi) aris, (berdznuli / berdzeni) kultura dzalian sainteresoa.

Giorgi is now in Greece; Greek culture is interesting.

5. Zhorzhi saphrangetidanaa. is
→ phrangia / phrangelia / phrangulia.

George is from France. He is French.

6. Sharlota aris
(inglisidan/inglisi) da is
(ingliselia / inglisuria)

Charlotte is from England, and she is English girl.

Sample Dialogue:

- gamarjoba!
- Hello!
- gamarjoba!
- Hello!
- Saidan khar?
- Where are you from?
- Me ukrainidan var, shen saidan khar?
- I am from Ukraine. Where are you?
- Me saberdznetidan var. shen sadauri khar?
- I am from Greece. What is your nationality?
- Me ukraineli var, shen?
- I am Ukrainian and you?

- Me saberdznetshi vtckhovrob, magram ar var berdzeni, poloneli var.
- I live in Greece, but I am not Greeke, I am Polish.

Sample Text:

Sharlota chemi megobaria. is tskhovrobs londonshi. Is ingliselia. is akhla saphrangetshia, is parizis universitetshi sts'avlobs. misi mshobliuri ena inglisuria, magram man aseve itsis phranguli dzalian kargad. Mec vsts'avlob parizshi. Me vitsi phranguli da qartuli. Qartuli chemi mshobliuri enaa. Me ar vitsi inglisuri kargad.

Charlotte is my friend. She lives in London. She is English.

Now she is in France, studying at the University of Paris.

Her native language is English, but she also knows French very well.

I am also studying in Paris. I know French and Georgian.

Georgian is my native language. I don't know English well.

Conclusion:

The teaching of geographical and origin-based nouns in Georgian is not limited to grammatical form recognition. Rather, it facilitates deeper communicative functions — enabling students to adapt to new environments, engage in interpersonal communication, construct dialogues, and express their own identity.

According to modern pedagogical principles, grammar instruction should serve communicative goals. Therefore, the most effective approaches for teaching these noun forms include:

- Explicit explanation
- Question-and-answer activities
- Dialogue practice
- Comparative analysis
- Demonstration-based methods

These methods not only improve linguistic competence, but also support intercultural awareness and learner autonomy – both essential components of successful second language acquisition

References

1. Gabunia K. *Kartuli enis sametkveṭo punkciebi (laparaki, mosmena)*. Part I. Tbilisi: Saimedo; 2012.
2. Gabunia K. *Kartuli enis gramatikis zogadi kursi*. *Kartuli, rogorc meore ena*. *Stsavlebis programa "Irbakhi"*. Tbilisi; 2016:14-16.
3. Danelia N. *Basic Georgian*. 3rd ed. Tbilisi: Universali; 2020:113-119. ISBN: 978-9941-22-000-5.
4. Zekalashvili R. *Kartuli ena. Mokle praktikuli kursi*. Tbilisi: Logos; 2018:46-48. ISBN: 978-9941-468-45-2.
5. Topuria V. *Geograpiuli saxelta -ta sufiksisatvis kartulshi, saxelta bruneebis istoriisatvis kartvelur enebshi*. Vol I. Tbilisi; 1956:286.
6. Kighuradze T, Kutateladze E. *Kartulis, rogorc ucnobi enis, stsavlebis metodika. Teoriuli kursi*. Tbilisi; 2013:44-52, 5-13. ISBN: 978-9941-0-6797-6.
7. Maghlakelidze N. *Kartulis, rogorc meore enis, stsavleba. Kartuli enis stsavlebis metodika*. Tbilisi: Meridiani; 2013:106-118. ISBN: 978-9941-10-732-0.
8. Teteloshvili T. *Kartuli ena ucnobel shemswavlelebisvis. Agmarti. A1. Shemswavlelis tsigni*. Tbilisi; 2013:8. Accessed October 17, 2025. www.geofl.ge.
9. Teteloshvili T. *Kartuli ena ucnobel shemswavlelebisvis. Agmarti. A1. Samushao rveuli*. Tbilisi; 2013:8. Accessed October 17, 2025. www.geofl.ge.
10. Shavtvaladze N. *Biliki. Tsigni I. Kari Mesame*. Tbilisi: Lega; 2006:31-41. ISBN: 99940-879-8-3.
11. Shanidze Ak. *Kartuli enis gramatikis sapudzvlebi*. 2nd ed. Tbilisi; 1973:114, 127, 136-139.
12. Sharashenidze N. *Midamo 1. Kartuli ena arakartulenovani studentebisvis*. Tbilisi: Grafema; 2015:78-79. ISBN: 978-9941-0-8070-8.
13. Jorbenadze B. *Kartuli enis morfologia. Programa-prospeqti*. Tbilisi; 1995:51-52.

გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელების სწავლების მნიშვნელოვანი ასპექტები მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვან სტუდენტებთან

*დაფინე სვანიძე**

უნივერსიტეტი გეომედი, მეფე სოლომონ
II-ის ქ. 4, თბილისი, საქართველო, 0114.
ელფოსტა: dafi.svanidze@geomedi.edu.ge

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელების სწავლების თავისებურებებს და სწავლების პროცესს გეომედის უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტის უცხოენოვანი სტუდენტებისათვის. ისინი სწავლობენ ქართულს, როგორც მეორე ენას. გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ენობრივი, ისე ყოველდღიური ურთიერთობისას, რადგან ისინი გამოხატავენ ადამიანისა თუ საგნის კავშირს გეოგრაფიულ სივრცესთან. უცხოენოვანი სტუდენტებისათვის ამ ტიპის ლექსიკური ერთეულების სწავლა/გააზრება/სწავლება სირთულეებთან არის დაკავშირებული სიტყვაწარმოების წესების, აფიქსების მრავალფეროვნებისა თუ მნიშვნელობების გამო. ნაშრომში განხილულია ამ სახელების სტრუქტურული თავისებურებები, ტიპური შეცდომები და ეფექტური სწავლების სტრატეგიები.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ვიზუალური მასალისა და ინტერკულტურული ელემენტების გამოყენებას (კითხვა-პასუხები, საუბრები, დიალოგები, სავარჯიშოები), რაც ხელს უწყობს სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის განვითარებას და მათი კულტურული ცნობიერების გაფართოებას.

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, როგორც მეორე ენა; გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელები; აფიქსები, სწავლების სტრატეგიები.

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში მეორე უცხო ენის სწავლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ისეთი ენობრივი კომპეტენციის ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას მისცემს სტუდენტებს ეფექტურად იურთიერთონ მრავალფეროვან კულტურულ გარემოში.

ქართული ენა ისწავლება გეომედის უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე უცხოენოვან სტუდენტებთან. იგი ოთხნაწილიანია. ქართული ენის პირველი სამი ნაწილი მოიცავს გრამატიკულ საკითხებს და მისი მთავარი მიზანი ქართული ენის შესწავლაა საურთიერთო დონეზე (A 1). ვასწავლით იმ სახელებს, ზმნებს, ფრაზებს, გრამატიკულ ფორმებს, რომლებიც აუცილებელია უცხოენოვანი სტუდენტების ყოველდღიური ცხოვრებისათვის. მეოთხე ნაწილი კი უშუალოდ სამედიცინო ფრაზებსა და

კლინიკებში გამოსაყენებელ დიალოგებსა და საუბრებს ეთმობა.

სტატიაში განხილულია მედიცინის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებთან შესასწავლი საკითხი, რომელიც, ჩვენი აზრით, საჭიროა პრაქტიკული თვალსაზრისით.

ქართულ ენაში წარმომავლობის სახელები სხვადასხვა მნიშვნელობის გამოსახატავად სხვადასხვა სუფიქსების დართვას მოითხოვს, რაც ზოგჯერ დაბრკოლებას უქმნის უცხოენოვან სტუდენტებს სახელების სწავლებისას. შემსწავლელი ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მსგავსი ტიპის სახელების დამახსოვრება, არამედ მათი სწორი გრამატიკული ფორმების გააზრება და სიტუაციური გამოყენება. ამიტომ აუცილებელია შესატყვისი საანალიზო მასალისა და ზუსტად შერჩეული სავარჯიშოების ჩვენება და მათზე მუშაობა.

ნაშრომის მიზანია, გაანალიზოს ის სირთულეები, რომლებსაც აწყდებიან უცხოენოვანი სტუდენტები სწავლებისას. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელების სწორი და ეფექტური სწავლება, განხილულია ამ სახელების გრამატიკული სტრუქტურა, მათი სემანტიკური დატვირთვა, სწავლების პროცესში გამოყენებული მეთოდები, სირთულეები და პრაქტიკული რეკომენდაციები.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნების მისაღწევად გამოყენებულია სამაგიდე კვლევის მეთოდი, კერძოდ, შესწავლილი და

განხილულია სამეცნიერო ლიტერატურა და შემუშავებულია ნაშრომის თეორიული ჩარჩო. გარდა ამისა, გამოყენებულია ანალიზისა და აღწერის მეთოდები.

ძირითადი ნაწილი საკითხისათვის

გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელები სხვადასხვაგვარი აფიქსების დართვის შედეგად მიღებული სიტყვებია და ისინი სხვადასხვა ტიპისა და სხვადასხვა წარმოშობისაა.

გეოგრაფიული სახელი აღნიშნავს კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს. ის იწარმოება -ეთ, -ის, -ა, -ია სუფიქსებით, სა-ო, სა-ეთ პრეფიქს-სუფიქსებით: ფინეთი, დმანისი, ლიტვა, იტალია, საფრანგეთი....

-ეთ სუფიქსი არის ყველაზე გავრცელებული სუფიქსი, იგი ერთვის ქვეყნის, ტომის, მდინარის, მხარის და ა.შ. სახელის ფუძეს და ამ გზით კეთდება გეოგრაფიული სახელი. როგორიცაა: სვანეთი, კახეთი, სომხეთი, რუმინეთი, დასავლეთი....

ვ. თოფურია წერს, რომ გეოგრაფიული სახელების „მეტი წილი წარმოშობილია ან კომპოზიტურად ან პრეფიქს-სუფიქსებით. -ეთ და -თა სუფიქსებს მეცნიერი ფონეტიკურად ახლოს მდგომ სუფიქსებად განიხილავს და მოჰყავს ნიკო მარის მოსაზრება, რომელსაც -ეთ სუფიქსი მრავლობითობისა და ადგილის სახელწოდებათა დაბოლოებად მიაჩნია. (5. 286)

აკ. შანიძესაც -ეთ სუფიქსი გეოგრაფიული სახელების ძირითად მაწარმოებლად მიაჩნია და წერს, რომ ზოგ გეოგრაფიულ სახელს საფუძვლად უდევს მცენარის, ცხოველის, ფრინველის,

მინერალის აღმნიშვნელი სახელი, ასევე მრავლადაა გვარებისგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები, რასაც „ხშირად ვხვდებით კახეთის, ფშავის, ხევსურეთის სოფლებში - კაიშაურნი, მაჩხაანი, ვაჩნაძიანი, გოგოლაურთა“. (11. 136).

-ის დაბოლოების მქონე გეოგრაფიული სახელები ხშირ შემთხვევებში ნაგენეტივარი სახელებია, ფუძეს დაკარგული აქვს გენეტივის (ნათესაობითის) გაგება. აკ. შანიძის აზრით, „ამ ტიპის სახელები, ახალი ქართულის თვალსაზრისით, გადმონაშთია, -ის დაბოლოება წარმოქმნის აფიქსებად ვერ ჩაითლება, აქ საქმე გვაქვს ბრუნვის ფორმის მნიშვნელობის შეცვლასთან და არა წარმოქმნასთან“. (11. 114). მსგავსი ნაგენეტივარი -ის სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელებიც მრავლადაა ენაში: მანგლისი, ქუთაისი, ინგლისი, ურზნისი, თბილისი, დმანისი...

ბ. ჯორბენაძე -ის სუფიქსიან სახელებს „ნაგენეტივარ სუბსტანტივებს“ (შინდისი) უწოდებს, ხოლო -ეთ სუფიქსს - „მალოკალიზებელ ფორმანტს“ (რუსეთი). (13. 51-52).

წარმომავლობის სახელი კი მიუთითებს კონკრეტული პირის ან საგნის გეოგრაფიულ, ეთნიკურ ან კულტურულ წარმომავლობაზე - ქართველი, ქუთაისური, მეგრული.... წარმომავლობას ყველაზე აქტიურად - ელ, -ურ/ულ სუფიქსები გამოხატავენ.

-ელ სუფიქსიანი სახელები **ადამიანის სადაურობას** (11.127) გამოხატავს. აკ. შანიძე წერს გრამატიკის საფუძვლებში, რომ -ის და -ეთ სუფიქსის ნაცვლად ძველად იხმარებოდა -ელ სუფიქსიანი
DOI: 10.56580/GEOMEDI72

სახელები, რაც -ელ სუფიქსის სიძველეზე მიუთითებს. „შინდისსა და წავკისში მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ისინი არიან წავკელები და შინდელები“, ასეთივეა დუშეთი - დუშელი, ტბეთი - ტბელი, (11. 127), თუმცა დღეს აღარ ხდება -ის და -ეთ სუფიქსების მოკვეცა და შეიძლება ითქვას, ორივე სუფიქსი ჩვეულებრივ იხმარება: მანგლისელი, ქუთაისელი, წავკისელი, თბილისელი, დუშეთელი, ტბეთელი....

-ურ/-ულ სუფიქსები აღნიშნავს **არაადამიანის სადაურობას** (11.127) (იმერული, ქართლური, დასავლური, ესპანური, ისლანდიური) და ამ ტიპის სახელი ყოველთვის **უსულო საგანს უკავშირდება**: იმერული სახლი, ქართლური დიალექტი, დასავლური კულტურა, ესპანური ფლამენგო, ისლანდიური ლუდი და მსგავსი.

უცხოენოვანი სტუდენტები და-საწყისშივე ეცნობიან ძირითად აფიქსებს შესაბამისი მაგალითებით წარმოდგენილი ცხრილებისა და ტაბულების მეშვეობით,

გეოგრაფიული სახელები:

სა - -ო - საქართველო, სამაჩაბლო..

-ეთ - ინდოეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, პოლონეთი, კახეთი...

-ია - იტალია, ნორვეგია, ბრაზილია, ირლანდია, იაპონია...

სა - -ეთ - საფრანგეთი, საბერძნეთი...

-ის - ინგლისი თბილისი, ბოლნისი, დმანისი...

წარმომავლობის სახელები:

-ელ სუფიქსით ნაწარმოები სახელები ეროვნების მაჩვენებელია:

უკრაინელი/პოლანდიელი/კახელი/იმერ

ელი/ვიეტნამელი/პაკისტანელი/ნეპალი და სხვა ბევრი.....

-ელ სუფიქსიანი სახელები მხოლოდ ადამიანს უკავშირდება და ადამიანთა წარმომავლობასა და სადაურობაზე მიანიშნებს: დანიელი პროფესორი, გერმანელი იურისტი, ესპანელი ჟურნალისტი, კუბელი მასწავლებელი.....

ქართულში დაიმეზნება ისეთი სახელები, რომლებიც წარმომავლობას -ელ სუფიქსის გარეშე გამოხატავენ, ამ ტიპის სახელები გამონაკლისებია და მათ დამახსოვრებასა და გააზრებას უხვი სავარჯიშო მასალა და საკმაო მუშაობა სჭირდება, გამონაკლისი (-ელ სუფიქსის გარეშე) ფორმების სწავლებისას შედარებითი მეთოდი შედეგიანია. სტუდენტებს ეძლევათ რამდენიმე მცირე მოცულობის ტექსტი, ხდება სუფიქსიანი და უსიფიქსო ფორმების ამორჩევა და მათზე მსჯელობა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ამგვარი დამოუკიდებელი და მსჯელობითი მუშაობა (რა ტიპის სახელია, რომელი სუფიქსია, რას გამოხატავს, შესატყვისი მაგალითების დასახელება) სტუდენტებისათვის საინტერესოა, რადგან დამოუკიდებელად ასრულებენ დავალებას, დამოუკიდებლად მსჯელობენ და დამოუკიდებლად აკეთებენ დასკვნებს.

-ელ სუფიქსიანი -ელ სუფიქსის გარეშე დანიელი

სლოვაკი

ესპანელი

თურქი

ბრაზილიელი

ფრანგი

კოლუმბიელი

ბერძენი

ნორვეგიელი

მონღოლი

ჩინელი

შვედი

იაპონელი

ხორვატი

პორტუგალიელი

ტაჯიკი

DOI: 10.56580/GEOMEDI72

ირლანდიელი

სერბი

ისლანდიელი

ბელორუსი

ერაყელი

ყირგიზი

ლიბანელი

უზბეკი და სხვ.

-ულ// -ურ სუფიქსები არაადამიანთა სადაურობას აღნიშნავს. (11. 127)

ინგლისური

ძალი//გერმანული

ლუდი...

ინდური ცეკვა//ქართული საჭმელი....

აფრიკული ლომი//იტალიური ღვინო...

-ურ// -ულ სუფიქსების გამოყენება სხვადასხვა პოზიციებში ხდება, ჩვენი აზრით, ამის მინიშნება საჭირო არ არის, ეს კიდევ უფრო გაართულებს შესასწავლ მასალას.

განსაკუთრებით საყურადღებოა საიდან ხარ//სადაური ხარ? შეკითხვები.

პირველი მოითხოვს ქვეყნის დასახელებას (-იდან// -დან სუფიქსიანი სახელებს), მეორე - ეროვნების დასახელებას (-ელ სიფიქსიანი სახელები):

საიდან ხარ? - მე ვარ ინდოეთიდან/სერბიიდან/მონაკოდან.... (ქვეყანა)

სადაური ხარ? - მე ვარ ინდოელი/სერბი/მონაკოელი....

(ეროვნება)

სირთულეები (ტიპური შეცდომები):

1. -იდან// -დან სუფიქსების მოხმარების ნაცვლად მხოლოდ სახელობითის ფორმას ან -ში თანდებულიან ფორმებს იყენებენ, როგორიცაა: მე ვარ ინდოეთი ან მე ვარ ინდოეთში მე ვარ ინდოეთიდან ნაცვლად;

2. -ელ და -ურ/-ულ სუფიქსების არასწორ პოზიციებში გამოყენება, როგორიცაა: ამერიკელი კატა ან

კანადური გოგო, უნგრული პროფესორი ან რუმინელი კოლეჯი. ინგლისურში ამ მხრივ განსხვავება არ არის. (American cat – American girl or Hungarian professor – Hungarian college);

3. გეოგრაფიული და წარმომავლობის სუფიქსების ერთად მოხმარება: მე ვარ ინდოეთელი/ მე ვარ უნგრეთელი/მე ვარ კახეთელი...
4. შეკითხვების არევა პასუხების არევისა იწვევს: საიდან ხარ? - მე ვარ ინდოელი ან სადაური ხარ? - მე ვარ ინდოეთიდან... ;
5. სუფიქსების დამახსოვრება და მათი წარმოთქმა სერიოზულ სირთულეებს ქმნის, თუმცა ხშირი გამეორებით და შესატყვისი ნიმუშების ჩვენებით ამ დაბრკოლების დაძლევა შესაძლებელია;

მცირედი საანალიზო/სამუშაო მასალა უამრავიდან:

1. ჩემი მეგობარი (ამერიკელი/ამერიკული).
2. ჟირაფი არის (ინდური/ინდოელი).
3. ხაჭაპური ძალიან გემრიელია. (ქართველი/ქართული).
4. გიორგი ახლა (საბერძნეთში/ბერძნეთში) არის, (ბერძნული/ბერძენი) კულტურა ძალიან საინტერესოა.

5. ჟორჟი საფრანგეთიდანაა, ის (ფრანგელია/ ფრანგულია/ფრანგია).

6. შარლოტა (ინგლისია/ინგლისიდანაა) და ის (ინგლისელია/ინგლისურია).

დიალოგი:

- გამარჯობა!
- გამარჯობა!
- საიდან ხარ?
- მე უკრაინიდან ვარ. შენ საიდან ხარ?
- მე საბერძნეთიდან ვარ. შენ სადაური ხარ?
- მე უკრაინელი ვარ. შენ?
- მე ვცხოვრობ საბერძნეთში, მაგრამ არ ვარ ბერძენი, პოლონელი ვარ.

ტექსტი:

შარლოტა ჩემი მეგობარია. ის ცხოვრობს ლონდონში. ის ინგლისელია. ახლა ის საფრანგეთშია და სწავლობს პარიზის უნივერსიტეტში. მისი მშობლიური ენა არის ინგლისური ენა, მან კარგად იცის ფრანგული ენა. მეც პარიზში ვსწავლობ. ვიცი ფრანგული და ქართული ენები. ქართული ჩემი მშობლიური ენაა. ინგლისური ენა არ ვიცი კარგად.

დასკვნა:

გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელების სწავლება მხოლოდ

გრამატიკული ფორმების გაცნობას არ გულისხმობს, მათი შესწავლით სტუდენტებს შეუძლიათ უცხო გარემოსთან ადაპტირება, უცხო ადამიანებთან კომუნიკაცია და დიალოგების აგება, საკუთარი იდენტობის წარმოჩენა. თანამედროვე მეთოდის მიხედვით, გრამატიკის საკითხების სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს უნდა ემსახურებოდეს, ამიტომ ყველაზე ეფექტური გეოგრაფიული და წარმომავლობის სახელების სწავლებისას არის ახსნა-განმარტებითი, საუბრის, კითხვა-პასუხის, შედარებითი და დემონსტრირების მეთოდები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბუნია კ. ქართული ენის სამეტყველო ფუნქციები (ლაპარაკი, მოსმენა). I ნაწილი. საკითხავი. გამომცემლობა „საიმედო“. თბილისი, 2012.
2. გაბუნია კ. ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი. ქართული, როგორც მეორე ენა. სწავლების პროგრამა „ირბახი“. თბილისი, 2016; (2.1.3.2//2.1.3.3): 14-16.
3. Danelia N. Basic Georgian. Third Edition. Publishing House Universali". Tbilisi, 2020: 113-119. ISBN 978-9941-22-000-5.
4. ზეჟალაშვილი რ. ქართული ენა. მოკლე პრაქტიკული კურსი. ლოგოსი. თბილისი, 2018: 46-48. ISBN 978-9941-468-45-2.
5. თოფურია ვ. გეოგრაფიულ სახელთა - თა სუფიქსისათვის ქართულში, სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბილისი, 1956: 286.
6. კილურაძე თ., ქუთათელაძე ე. ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების მეთოდოლოგია. თეორიული კურსი. თბილისი, 2013: 6 (44-52), 1 (5-13). ISBN 978-9941-0-6797-6.
7. მაღლაკელიძე ნ. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება. ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია. მერიდიანი, თბილისი, 2013: XI (231), IV.3.4. (106-118). ISBN 978-9941-10-732-0.
8. ტეტელოშვილი თ. ქართული ენა უცხოელი შემსწავლელისათვის. აღმართი. A 1. შემსწავლელის წიგნი. სწავლების პროგრამა „ირბახი“. თბილისი, 2013: 8. www.geofl.ge
9. ტეტელოშვილი თ. ქართული ენა უცხოელი შემსწავლელისათვის. აღმართი. A 1. სამუშაო რვეული. სწავლების პროგრამა „ირბახი“. თბილისი, 2013: 8. www.geofl.ge
10. შავთვალაძე ნ. ბილიკი. წიგნი I. კარი მესამე. გამომცემლობა „ლევა“, თბილისი, 2006: 31-41. ISBN 99940-879-8-3.
11. შანიძე აკ. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. მეორე გამოცემა, თბილისი, 1973: 114, 127, 136, 136-139.



12. შარაშენიძე ნ. მიდამო 1. ქართული
ენა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის. გამომცემლობა „გრაფი-
მა“, თბილისი, 2015: 78-79. ISBN 978-
9941-0-8070-8.
13. ჯორბენაძე ბ. ქართული ენის
მორფოლოგია. პროგრამა-პროსპექ-
ტი. თბილისი, 1995: 51-52.